შემოსავლების სამსახური

# ინფორმაცია საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ (გარდა მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული სუბიექტებისა)

| | |
|---|---|
| **სახელწოდება:** | ივერთუბანი-21 |
| **იურიდიული მისამართი:** | დიდუბე-ჩუღურეთი / მარჯანიშვილის ქ.N 1, მე-2 სართული, ბ. 4 |
| **საიდენტიფიკაციო კოდი:** | 202496600 |
| **სამართლებრივი ფორმა:** | ამხანაგობა |
| **საიდ.მინიჭების თარიღი:** | 29/11/2022 |
| **სტატუსი:** | მოქმედია |
| **შენიშვნა:** | |

## ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

01029000588 - ვახტანგ ხოჭოლავა

| | |
|---|---|
| **ყადაღა / აკრძალვა:** | რეგისტრირებული არ არის |
| **საგადასახადო გირავნობა / იპოთეკის უფლება:** | რეგისტრირებული არ არის |

ინფორმაციის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.rs.ge

31/12/2022 12:40:58

აღნიშნული ხელშეკრულება 3.4 პუნქტის საფუძველზე 29.11.2022 წელს
დარეგისტრირდა როგორც უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

# ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება

15/11/2022 წ. ქ. თბილისი

**პრეამბულა**

ვინაიდან, მხარეები, მოქმედებენ რა ერთიანი მიზნით და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, აცხადებენ თანხმობას ხელი მოაწერონ წინამდებარე გარიგებას, გაიზიარონ მასში მოცემული პირობები და შეასრულონ ვალდებულებები,

და ვინაიდან, ამ გარიგების გაფორმების მომენტში არც ერთი ხელშემკვრელი მხარე არ მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რაც ხელს შეუშლის, დააბრკოლებს ან/და შეუძლებელს გახდის რომელიმე მხარის მხრიდან წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებებისა და გაზიარებული პირობების შესრულებას,

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-940-ე მუხლებზე დაყრდნობით, აგრეთვე, მხარეთა ორმხრივ და მრავალმხრივ დაპირებათა გათვალისწინებით, მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას ერთობლივი საქმიანობისა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის დაფუძნების შესახებ (შემდგომ ტექსტში „ამხანაგობის ხელშეკრულება“ ან „ხელშეკრულება“) და თანხმდებიან ამხანაგობის დაფუძნებაზე შემდეგი პირობებით:

## 1. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეები

1.1. ამხანაგობის მონაწილეები არიან:

- ნინო სვანიძე პ/ნ 46001016686;
- ლევან ხოჭოლავა პ/ნ 01027038778;
- მაია პაიჭაძე პ/ნ 01008000558;
- შოთა გიორგაძე პ/ნ 01024003403;
- მარიამ ჭანტურია პ/ნ 42001038863;
- ვახტანგ ხოჭოლავა პ/ნ 01029000588

1.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, 1.1. პუნქტში ჩამოთვლილი პირები ერთად მოხსენიებულები იქნებიან როგორც „მხარეები“ ან „მონაწილეები“, სათითაოდ როგორც „მხარე“ ან „მონაწილე“.

1.3. კრების გარეშე დაუშვებელია ამხანაგობის მონაწილეების გაზრდა ან შემცირება;

ნინო სვანიძე
ლევან ხოჭოლავა
შოთა გიორგაძე
მაია პაიჭაძე

ვახტანგ ხოჭოლავა
მარიამ ჭანტურია

## 2. ამხანაგობის სახელწოდება და მართვის ადგილსამყოფელი

2.1. ამხანაგობის სახელწოდებაა „ივერთუბანი-21".

2.2. ამხანაგობის მისამართია: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №11, მე-2 სართული.

2.3. ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

## 3. ამხანაგობის სახეობა და მიზანი

3.1. ამხანაგობის მონაწილეები კისრულობენ ვალდებულებას, იურიდიული პირის შეუქმნელად (ამხანაგობის სახეობა) ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით განახორციელონ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (2 სართულიანი) მშენებლობა და მშენებლობის დასრულების შემდეგ საკუთრებაში მიიღონ (გაინაწილონ) უძრავი ქონების ფართები ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით (ამხანაგობის მიზანი).

3.2. ამხანაგობა წარმოადგენს ფიზიკურ პირთა გაერთიანებას, რომელიც შექმნილია ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განსაზღვრული მიზნით. ამხანაგობას არ გააჩნია მოგების მიზანი.

3.3. საცხოვრებელი სახლები უნდა აშენდეს ამხანაგობის წევრების მიერ საამისოდ შერჩეულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართებზე: 1) ქ. თბილისი, მინადორა ორჯონიკიძე -ტოროშელიძის III ჩიხი, №18, საკადასტრო კოდი - 81.21.04.754, ფართობი: 1000 კვ.მ; 2) ქ. თბილისი, მინადორა ორჯონიკიძე -ტოროშელიძის III ჩიხი, №20, საკადასტრო კოდი - 81.21.00.667, ფართობი: 1000 კვ.მ.

3.4. ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ 81.21.04.754 და 81.21.00.667 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთები დარეგისტრირდება ამხანაგობის საკუთრებაში.

3.5. საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მახასიათებლები (მათ შორის სართულიანობა, ფართების სახეობა, საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ფართების რაოდენობა და განლაგება და სხვა მახასიათებლები) დადგინდება და დაზუსტდება სამშენებლო დოკუმენტაციით, რის შესაბამისადაც განისაზღვრება საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაწყებისა და დამთავრების ზუსტი ვადები.

3.6. მშენებლობა უნდა განხორციელდეს მონაწილეთა მიერ ამხანაგობაში შეტანილ მიწის ნაკვეთებზე, ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების არქიტექტორული პროექტის საფუძველზე.

3.7. მშენებლობის დაწყება-დასრულების ვადა განისაზღვრა არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში. ამასთან, მშენებლობის ნებართვის მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 (ექვსი) თვეს.

3.8. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება გულისხმობს საცხოვრებელი სახლის იმ კონდიციამდე მიყვანას, რაც საქართველოს კანონმდებლობით აუცილებელია მშენებარე შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მისაღებად.

3.9. ეს ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს ამხანაგობის სამოქმედო დებულებას, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად ამხანაგობის ყველა წევრისათვის და განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის სახეობასა და მიზანს, მის ხანგრძლივობას, ამხანაგობის წევრების უფლება-მოვალეობებს, ამხანაგობის წევრებს შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების, ამხანაგობიდან გასვლისა და ამხანაგობაში წილის გადაცემის წესს, ამხანაგობის მართვის ორგანოთა სტრუქტურას, უფლებამოსილებასა და ფუნქციებს.

## 4. მართვის ორგანოთა სტრუქტურა და ფუნქციები

4.1. ამხანაგობის მართვის უმაღლესი ორგანოებია: ამხანაგობის კრება და ამხანაგობის თავმჯდომარე.

4.2. ამხანაგობის კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ ამხანაგობის თავმჯდომარის ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით. კრების მომწვევი ვალდებულია კრების ჩატარების შესახებ ერთი კვირით ადრე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობოს ამხანაგობის მონაწილეებს კრების ჩატარების ადგილი, დრო და განსახილველი საკითხი.

4.3. ამხანაგობის წევრისთვის კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

4.4. კრება გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება თუ მას ესწრება ამხანაგობის ყველა წევრი. წინააღმდეგ შემთხვევაში კრება მოიწვევა განმეორებით და იგი გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას ესწრება ამხანაგობის არანაკლებ 4 (ოთხი) წევრი მაინც. სხვა შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კრება ვერ შედგა და არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი. ორივე შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისიაი ამხანაგობის დამსწრე წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4.5. კრებაზე ყოველ მხარეს აქვს ერთი ხმა მიუხედავად მის მიერ განხორციელებული შენატანისა და მისაღები ქონებისა.

4.6. ხმის მიცემის პროცესში ამხანაგობის თითოეულმა წევრმა ნების გამოვლენა უნდა მოახდინოს მხოლოდ ორი ფორმით: „ეთანხმება“, ან „არ ეთანხმება“ განსახილველ საკითხს. განსახილველ საკითხზე ამხანაგობის წევრს კენჭისყრისას „თავის შეკავების“ უფლება არ გააჩნია.

4.7. კრება გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე: ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა; ამხანაგობის ქონების გასხვისება ან/და უფლებრივად დატვირთვა; ამხანაგობის ქონების გაერთიანება/გამიჯვნა, ამხანაგობაში შენატანების/დამატებითი შენატანების განსაზღვრა; ამხანაგობის ქონების განაწილება მონაწილეებს შორის; ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა; ხელშეკრულების შეწყვეტა; ამხანაგობის ლიკვიდაცია;

4.8. კრება არ არის უფლებამოსილი რომელიმე მონაწილის დასწრებისა და წერილობითი თანხმობის გარეშე იმსჯელოს და მიიღოს რაიმე სახის გადაწყვეტილება იმ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ან/და ირიბად ეხება ან/და შესაძლოა შეეხოს თითოეული მონაწილის მიერ მისაღებ უძრავ ქონებას (ფართს).

4.9. კრება არ არის უფლებამოსილი რომელიმე მონაწილის დასწრებისა და წერილობითი თანხმობის გარეშე გადაწყვეტილება მიიღოს ხელშეკრულებაში იმ ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ან/და ირიბად ეხება ან/და შესაძლოა შეეხოს მშენებლობის ვადების შემცირებას ან/და პირობებს.

4.10. ყველა იმ საკითხს, რომელიც არ შედის კრების კომპეტენციაში, გადაწყვეტილებას იღებს ამხანაგობის თავმჯდომარე ერთპიროვნულად.

4.11. ამხანაგობის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას განახორციელებს თავმჯდომარე.

4.12. კრებაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

4.13. კრების გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ამხანაგობის წევრებისთვის, მათ შორის მათთვისაც ვინც წინააღმდეგ მისცა ხმა ან კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ნებისმიერი მიზეზით.

4.14. საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ, ამხანაგობის კრება ვალდებულია დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება ამხანაგობის თითოეული წევრისთვის გასანაწილებელი ბინების (ფართების) იდენტიფიცირების შესახებ.

## 5. შენატანები ამხანაგობაში

5.1 ამხანაგობის მიზნის მისაღწევად მონაწილეები ვალდებულნი არიან ამხანაგობაში შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. შენატანი შეიძლება განხორციელდეს ფულადი სახით და ქონების შეტანით.

5.2 ამხანაგობაში მონაწილეთა შენატანები განისაზღვრა შემდეგნაირად:

5.2.1. შოთა გიორგაძისა (პირადი ნომერი 01024003403) და ნინო სვანიძის (პირადი ნომერი 46001016686) შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს მიწის ნაკვეთი: ქ. თბილისი, მინადორა ორჯონიკიძე -ტოროშელიძის III ჩიხი, №20, საკადასტრო კოდი - 81.21.00.667, ფართობი: 1000 კვ.მ;

5.2.2. მაია პაიჭაძისა (პირადი ნომერი 01008000558) და ლევანი ხოჭოლავას (პირადი ნომერი 01027038778) შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენს მიწის ნაკვეთი: ქ. თბილისი, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძის III ჩიხი, №18, საკადასტრო კოდი - 81.21.04.754, ფართობი: 1000 კვ.მ;

5.2.3. მარიამ ჭანტურიას (პირადი ნომერი 42001038863) შენატანს წარმოადგენს ფულადი შენატანი: 100 000 აშშ დოლარი, ექვივალენტი ლარში, ექვივალენტი ლარში, გადახდის დღისთვის არსებული გაცვლითი კომერციული კურსის შესაბამისად.

5.2.4. ვახტანგ ხოჭოლავას (პირადი ნომერი 01029000588) შენატანს წარმოადგენს ფულადი შენატანი: 100 000 აშშ დოლარი, ექვივალენტი ლარში, გადახდის დღისთვის არსებული გაცვლითი კომერციული კურსის შესაბამისად.

5.3. შენატანები წარმოადგენს ამხანაგობის მონაწილეების საერთო საკუთრებას. მონაწილეების საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეტანილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე ან/და მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების ან/და ამოღების გამო.

## 6. უმრავი ქონების (ფართების) განაწილება

6.1. ამხანაგობაში განხორციელებული შენატანების სანაცვლოდ თითოეულ მონაწილეს საკუთრების უფლებით გადაეცემა უმრავი ქონება (ფართები) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

მაია პაიჭაძე ნინო სვანიძე
შოთა გიორგაძე ლევან ხოჭოლავა
ვახტანგ ხოჭოლავა მარიამ ჭანტურია

უძრავი ქონების (ფართების) განაწილება მოხდება შემდეგნაირად: ამხანაგობის თითოეული წევრი საკუთრებაში მიიღებს 333.3 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ, თითოეულ მიწის ნაკვეთზე აღმართულ შენობა-ნაგებობას. მიწის ნაკვეთის ზუსტი ფართობი და საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მახასიათებლები დადგინდება და დაზუსტდება სამშენებლო დოკუმენტაციით, რის შესაბამისადაც განისაზღვრება ამხანაგობის თითოეულ წევრზე საკუთრების უფლების აღრიცხვის ობიექტები.

6.3. მონაწილეთა შორის განაწილებული უძრავი ქონება (ფართები) არ უნდა იყოს იპოთეკით დატვირთული, მესამე პირებისთვის იჯარით ან/და ქირავნობით გადაცემული და რაიმე სხვა უფლებით ან/და ვალდებულებით დატვირთული.

6.4. ამხანაგობის წევრებს შენობა-ნაგებობები გადაეცემათ თეთრი კარკასის მდგომარეობაში:

6.4.1. კედლები პერიმეტრზე შელესილი და შიდა ტიხრები ამოყვანილი და შელესილი პროექტის გათვალისწინებით;

6.4.2. იატაკი მოჭიმული;

6.4.3. ელექტროგაყვანილობა დამონტაჟებული;

6.4.4. გარე კარ-ფანჯრები და რკინის შესასვლელი კარი დამონტაჟებული.

6.4.5. წყლისა და კანალიზაციის ცენტრალური დგარები დამონტაჟებული;

## 7. ამხანაგობის თავმჯდომარე

7.1. ამხანაგობის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობის წევრები შეთანხმდნენ და მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულია: ვახტანგ ხოჭოლავა. მის: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის 12, კორპუსი 13, ბინა 21.

7.2. ამხანაგობის თავმჯდომარე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად წარმოადგენს ამხანაგობას მოქმედი კანონმდებლობით დასაშვებ ნებისმიერ ურთიერთობაში. მათ შორის, ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, სასამართლოსა და საბანკო ურთიერთობებში, გახსნას ანგარიშები საბანკო დაწესებულებში და განკარგოს ანგარიშებზე რიცხული თანხები, ხელი მოაწეროს ერთობლივ საქმიანობასთან (ამხანაგობასთან) დაკავშირებულ ყველა საფინანსო დოკუმენტს, მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში ამხანაგობის სახელით დადოს

ვალდებულებები, წარმოადგინოს ამხანაგობა სასამართლოსა და ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებები ან/და მათი შესრულება მიანდოს სათანადო კვალიფიკაციით აღჭურვილ პირს (ადვოკატს, წარმომადგენელს), არ დაუშვას ამხანაგობის საერთო საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული ქონების და ფულადი სახსრების ხელყოფა მესამე პირების მიერ, განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რაც მას მინიჭებული აქვს ამ ხელშეკრულებით და ემსახურება ერთობლივი საქმიანობის მიზნებს. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებენ კრების გადაწყვეტილებას/თანხმობას, ამხანაგობის თავმჯდომარე წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილებების და თანხმობების არსებობის პირობებში. სხვა დანარჩენ საკითხებზე ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობას წარმოადგენს ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ფარგლებში. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ქმედება, რაც ამხანაგობის ინტერესების დაცვისათვის არის საჭირო. ამხანაგობის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია გამგეობის და კრების წინაშე.

7.3. ამხანაგობის თავმჯდომარე კრების თანხმობის გარეშე ახორციელებს ამხანაგობის წევრთა კუთვნილი ფართებისთვის ნუმერაციის მინიჭების, მათი განაწილების, განშლის აქტების შედგენის, მასში ცვლილებების შეტანის, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის ღონისძიებების გატარების ტექნიკურ უზრუნველყოფას.

7.4. ამხანაგობის საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფის მიზნით, ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს ამხანაგობის წევრ(ებ)ზე ან/და მესამე პირებზე გასცეს რწმუნებულებები/მინდობილობები.

7.5. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია საჭიროებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება ამხანაგობის ბუღალტერიისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოების მიზნით სპეციალისტის (ბუღალტერი, აუდიტი) დაქირავების შესახებ.

7.6. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. მისი მხრიდან მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება იწვევს თავმჯდომარის გადაყენებას და შესაძლო ზიანის მოთხოვნის უფლების წარმოშობას.

ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

7.9. ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს კრებას.

7.9. ამხანაგობის თავმჯდომარის არყოფნის პირობებში მის უფლებამოსილებას ასრულებს მისგან დროებით მინდობილი პირი ამხანაგობის წევრთა შემადგენლობიდან.

7.10. ამხანაგობის თავმჯდომარის გადადგომის/გადარჩევის ან მისი უფლებამოსილებების სხვაგვარი შეწყვეტის შემთხვევაში, ამხანაგობის კრება ვალდებულია ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 კალენდარული დღის ვადაში მოიწვიოს კრება ამხანაგობის წევრების შემადგენლობიდან ახალი თავმჯდომარის არჩევის მიზნით. ასეთ შემთხვევაში კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება მინიმუმ 5 წევრი.

7.11. ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას ყველა ინსტანციის სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში; ამხანაგობის სახელით შეუძლია დადოს ყველა ის გარიგება, რომლის შესახებაც არ არის სავალდებულო კრების გადაწყვეტილება. თავმჯდომარე წყვეტს ამხანაგობის ყველა ორგანიზაციულ-ფინანსურ საკითხებს, (მათ შორის, კრების მოწვევის გარეშე უფლებამოსილია წარმოადგინოს ამხანაგობა ქ. თბილისის მერიის ნებისმიერ სამსახურში და მიმართოს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს პროექტის დამტკიცების, პროექტში განსახორციელებელი ცვლილების შესახებ და ა.შ.).

## 8. ამხანაგობის წევრთა უფლებები და მოვალეობები

8.1. თითოეული მონაწილე ვალდებულია ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

8.2. ამხანაგობის წევრები ვალდებული არიან შეასრულონ პროექტით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

8.3. ამხანაგობის თითოეული წევრი ვალდებულია ამხანაგობის და სხვა წევრების მიმართ მოვალეობები შეასრულოს კეთილსინდისიერად და დროულად.

ამხანაგობის წევრები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ ამხანაგობას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, რაც გულისხმობს, რომ არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მშენებლობის შეჩერება ან/და შეფერხება.

თუ ამხანაგობის რომელიმე წევრი ხელს შეუშლის ამხანაგობას საქმიანობაში იგი ვალდებული იქნება მთლიანად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, რომელიც მოიცავს, როგორც პირის მიერ გაწეულ ხარჯებს, ისე მიუღებელ შემოსავალს.

8.6. 8.4. პუნქტში მითითებული ხელშეშლა შესაძლოა გამოიხატებოდეს შემდეგში:

- შესატანი თანხების შეუტანლობა;
- ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლის უფლებამოსილებაც ერთპიროვნულად მას არ გააჩნია;
- ისეთი უმოქმედობანი, რა დროსაც მოქმედების განხორციელების ვალდებულება გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;
- კრებებზე სისტემატიური გამოუცხადებლობა;
- განსახილველ საკითხზე კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა;
- ამხანაგობიდან გასვლა ისეთ დროს, როდესაც ეს საზიანოა ამხანაგობისათვის;
- მშენებლობის პროცესისთვის ხელის შეშლა, როგორც ფიზიკური ასევე სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით;
- მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელშეშლის (მათ შორის უფლების ბოროტად გამოყენების) შემთხვევები.

8.7. თითოეულ წევრს უფლება აქვს სხვა წევრს მოსთხოვოს ამხანაგობის წინაშე ან/და ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

8.8. წინამდებარე ამხანაგობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ფაქტით ამხანაგობის თითოეული და ყველა წევრი ადასტურებს, რომ ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და მას მიიჩნევს სავალდებულოდ.

## 9. ამხანაგობიდან წევრის გასვლის/გარიცხვის წესი. ამხანაგობის წევრის წილზე იძულებითი აღსრულების მიქცევის წესი

9.1. ამხანაგობის თითოეულ წევრს უფლება აქვს გავიდეს ამხანაგობიდან, ამასთან ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ისეთ ვითარებაში და იმდაგვარად, როდესაც იგი საზიანო იქნება ამხანაგობისათვის. ამხანაგობის წევრები ცალსახად აღიარებენ, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ყ“ ქვეპუნქტის და 168-ე 1-ლი ნაწილის „ღ“ და „ყ“ ქვეპუნქტების დებულებების გათვალისწინებით, ამხანაგობის ქონების განაწილებამდე

ამხანაგობის წევრის ამხანაგობიდან გასვლა ან/და წილის გასხვისება ცალსახად საზიანო იქნება ამხანაგობისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, ამხანაგობიდან გასული წევრი ვალდებულია აანაზღაუროს მისი გასვლით გამოწვეული ამხანაგობის და მისი წევრების საგადასახადო ვალდებულებები.

9.2. ამხანაგობიდან გასვლის მსურველმა წევრმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ამხანაგობის თავმჯდომარეს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ იღებს კრება. ამგვარი გადაწყვეტილება წევრის ამხანაგობიდან გასვლის შესახებ მიღებული უნდა იქნეს განცხადების წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

9.3. თუ კრება სხვაგვარად არ გადაწყვეტს, ამხანაგობიდან წევრის გასვლა, წევრის გარდაცვალება ან წევრის მიმართ საგაკოტრებო (გადახდისუუნარობის) საქმის წარმოების გახსნა არ იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას.

9.4. ამხანაგობის წევრი შესაძლოა გარიცხული იქნეს ამხანაგობის წევრობიდან, თუ იგი არ ასრულებს, ან არაჯეროვნად ასრულებს მის ვალდებულებას, აგრეთვე თავისი მოქმედებით (უმოქმედობით) ხელს უშლის ამხანაგობას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნის მიღწევაში, აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როდესაც იგი არ ემორჩილება და სისტემატურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგებათ ამხანაგობის დანარჩენ წევრებს.

9.5. ამხანაგობიდან წევრის გარიცხვის შემთხვევაში, მას ჩამოერთმევა შესაბამისი წილი, რის საფუძველზეც ცვლილება წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისთვის.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ამხანაგობის წევრის გარიცხვის შემთხვევაში, მის მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანი (გადახდილი თანხა) უკან დაუბრუნდება იმ ხარჯების გამოკლებით, რაც აუცილებელია გასვლის რეგისტრაციისთვის. ამხანაგობა უფლებამოსილია დააყოვნოს შესრულებული შენატანის (გადახდილი თანხის) უკან დაბრუნება, გასვლის შედეგად გამონთავისუფლებული ფართის შემდგომ გასხვისებამდე და ამხანაგობის წევრებს შორის ქონების განაწილების მომენტის დადგომამდე.

9.7. 9.4 და 9.5 პუნქტებით განსაზღვრული ამხანაგობის უფლებების შეზღუდვის გარეშე, ამხანაგობა უფლებამოსილია მოსთხოვოს წევრს ამხანაგობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (შენატანების განხორციელება), რა მიზნითაც მიაქციოს იძულებითი აღსრულება ამხანაგობაში წევრის კუთვნილ წილზე. ასეთ შემთხვევაში, ამხანაგობის წევრის წილის რეალიზაცია განხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, ამხანაგობის წევრები თანხმდებიან, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამხანაგობასა და ამხანაგობის

წევრს შორის დავაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის $1^1$ ნაწილის შესაბამისად.

## 10. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

10.1. ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან/და ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური უბედურებით, ხანძრით, სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებებითა და საყოველთაოდ აღიარებული საგანაგებო მდგომარეობით, თუ ეს გარემოებები დაიწყო ან/და განვითარდა ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. მხარეს, რომელსაც წამოეჭრება დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს ამხანაგობის მონაწილეებს ან/და მათი ოჯახის რომელიმე წევრს.

10.2. გარემოება, როცა მშენებლობა შეჩერებულია მესამე პირთა მოთხოვნით, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებებით განიხილება როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება. შესაბამისად მხარეებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულებიდან გასვლა ან/და განაცხადონ რაიმე სახის პრეტენზია. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადები გადაიწევს ასეთი მდგომარეობის არსებობის პერიოდით.

10.3. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ელექტრონული ფორმით აცნობოს ამხანაგობის ყველა წევრს ფორს–მაჟორული ვითარების დადგომისა და ამხანაგობის შემდგომი მოქმედების შესახებ.

## 11. ერთობლივი საქმიანობის ვადა და ლიკვიდაცია

11.1. ამხანაგობა შექმნილია სულ მცირე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დასრულების, კანონმდებლობით დადგენილი წესით შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების აქტის გამოცემის და ამხანაგობის წევრებს შორის ამხანაგობის ქონების განაწილების ვადით.

11.2. წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეწყდება მას შემდეგ, როდესაც: ა) დასრულდება მშენებლობა; ბ) შენობები მიღებული იქნება ექსპლუატაციაში კანონმდებლობით

[illegible]ილი წესით; გ) ყველა წევრი რეგისტრირებული იქნება, როგორც შესაბამისი უძრავი [illegible]ების მესაკუთრე საჯარო რეესტრში და დ) სრულად იქნება შესრულებული წევრების ფინანსური და სხვა ვალდებულებები ამხანაგობის მიმართ.

ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

- მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
- სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს გახდის ამხანაგობის მიზნის მიღწევას. ასევე, ფორს–მაჟორული ვითარების დადგომის შემთხვევაში, რომელიც არაგონივრული ვადით არის გაგრძელებული, რაც შეუძლებელს ხდის ამხანაგობის მიზნის მიღწევას.
- ერთობლივი საქმიანობის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ამხანაგობის ქონება განაწილდება ამხანაგობის წევრებს შორის ფაქტობრივად განხორციელებული შენატანების პროპორციულად.

## 12. დავების გადაწყვეტა

12.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუკი მხარეთა შორის წარმოქნილი დავა ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. დასკვნითი ნაწილი

13.1. ეს ხელშეკრულება შედგენილია მხარეთა მიერ ერთობლივად გამოვლენილი ნების საფუძველზე. ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი გაეცნენ ხელშეკრულებას, მისაღებია პირობები და არ არსებობს წინააღმდეგობა გარეგნულად გამოვლენილ ნებასა და შინაგან ნებას შორის.

13.2. ამ ხელშეკრულებაში რიცხვებსა და სიტყვიერად აღნიშნულ რიცხვებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სიტყვიერად აღნიშნულ რიცხვებს.

13.3. საკითხები, რომელთა რეგულირებაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.4. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი ძალისა და მნიშვნელობის მქონე 7 (შვიდ) ეგზემპლარად და ძალაშია მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან.

ეს ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებასა და ხელმოწერის მომენტისათვის ხელშეკრულებაში არ არსებობს ტექსტის რაიმე სახით გადაკეთება ან/და შესწორება.

15. თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება გახდა ბათილი, ეს არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ნამდვილობაზე. ბათილი დებულების ნაცვლად მოქმედებს წესი, რომელიც ძალაშია და რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა მხარეთა მიერ დასახული მიზანი. კანონისმიერი განსაზღვრებები გამოიყენება მხოლოდ ამის შემდეგ. იგივე წესი მოქმედებს, თუ ამ ხელშეკრულებას აქვს ხარვეზები. მხარეები იღებენ ურთიერთვალდებულებას, რომ კეთილსინდისიერად იმოქმედებენ რათა უმოკლეს ვადაში აღადგინონ გაბათილებული ან ხარვეზის შემცველი დებულებების თავდაპირველი აზრი.

## 17. მხარეთა ხელმოწერა და რეკვიზიტები

მაია პაიჭაძე პ/ნ 01008000558
მობ. 597 39 39 33
ელ. ფოსტა: maia.paichadze@mail.ru ;
მის: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის 12.

ლევან ხოჭოლავა პ/ნ 01027038778;
მობ. 555 48 48 55
ელ. ფოსტა: levan_khocholava@yahoo.com;
მის: ქ. თბილისი. მერაბ ალექსიძის 3, მე-2 სადარბაზო, მე-10 სართული, ბ 40-ა

მარიამ ჭანტურია პ/ნ 42001038863;
მობ. 599 41 39 48
ელ. ფოსტა: mctchanturia07@gmial.com;
მის: ქ. ფოთი, ჩიტაიას ქუჩა 4.

შოთა გიორგაძე პ/ნ 01024003403;
მობ. 599 94 38 18
ელ. ფოსტა: shota@giorgaZe.pvt.ge;
მის: ქ. თბილისი, პეტრიწის ქუჩა 12, ბინა 121.

ვახტანგ ხოჭოლავა პ/ნ 01029000588
მობ.: 579 003 145
ელ. ფოსტა: vkhocholava@bk.ru;
მის: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის 12, კორპუსი 13, ბინა 21.

ნინო სვანიძე პ/ნ 46001016686
მობ.: 557 20 19 89
ელ. ფოსტა: ninosvanidze22@gmail.com;
მის: ქ. თბილისი. მერაბ ალექსიძის 3, მე-2 სადარბაზო, მე-10 სართული, ბ 40-ა.

ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერა [ფორმულარი]

ორი ათას ოცდაორი წლის თხუთმეტ ნოემბერს მე, მარიამ გინტურს საქართველოს ნოტარიუსს მეგი მაღალდაძის შემცვლელ პირს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #19 მომმართეს: **ქ-ნმა მაია პაიჭაძემ, ბ-ნმა ლევანი ხოჭოლავამ, ბ-ნმა შოთა გიორგაძემ, ბ-ნმა ვახტანგ ხოჭოლავამ და ქ-ნმა ნინო სვანიძემ**, რომლებმაც წარმომიდგინეს მათ მიერ შედგენილი **ერთობლივი საქმიანობის [ამხანაგობის] ხელშეკრულება [ქ. თბილისი, 15.11.2022წ.]** და მოითხოვეს მასზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ქ-ნმა მაია პაიჭაძემ** [დაბ: 16.05.1975წ. რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, მცხეთის ქუჩა, N 8, ბინა 38, პ/ნ 01008000558], **ბ-ნმა ლევანი ხოჭოლავამ** [დაბ: 21.11.1991წ. მისი განცხადებით მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 18, კორპუსი 1, ბინა 9, პ/ნ 01027038778, პასპორტი 10DD13858], **ბ-ნმა შოთა გიორგაძემ** [დაბ: 01.01.1978წ. რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, N 12, ბინა 121, პ/ნ 01024003403, მართვის მოწმობა TH1546642], **ბ-ნმა ვახტანგ ხოჭოლავამ** [დაბ: 21.02.1961წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი სულხან ცინცაძის ქ. N 12 ბლოკი VIII ბ. 13-21, პ/ნ 01029000588, პასპორტი 18AD35563] და **ქ-ნმა ნინო სვანიძემ** [დაბ: 11.11.1989წ. რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, II მიკრო/რაიონი, N 27ა, ბინა 18, პ/ნ 46001016686] მომმართეს.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მათ განაცხადეს, რომ მათთვის ცნობილია **კერძო აქტის** შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები და დამიდასტურეს, რომ იგი სრულად გამოხატავს მათ ნებასა და სურვილს.

მათი ნების დადგენის შემდეგ მე, მათ განვუმარტე, რომ ვამოწმებ მხოლოდ მათ მიერ შედგენილ **დოკუმენტზე** მათი ხელმოწერის ნამდვილობას და არა მასში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეს და ნამდვილობას. მე, მათ ასევე განვუმარტე, რომ საქართველოს კანონმდებლობით ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადექვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, რის შემდეგაც მათ ჩემი _ ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერეს ხელი **ერთობლივი საქმიანობის [ამხანაგობის] ხელშეკრულებაზე [ქ. თბილისი, 15.11.2022წ.], რომელიც თან ერთვის სანოტარო ფორმულარს.**

გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების [29.12.2011წ.] 31-ე მუხლის საფუძველზე 195.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 35.10 ლარი, ჯამში: 235.10 ლარი.

საქართველოს ნოტარიუსის,
მეგი მაღალდაძის შემცვლელი პირი
მარიამ გინტური



ნოტარიუსის დამადასტურებელი წარწერა [ფორმულარი]

ორი ათას ოცდაორი წლის თხუთმეტ ნოემბერს მე, მარიამ გინტურს საქართველოს ნოტარიუსს მეგი მაღალდაძის შემცვლელ პირს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #19 მომმართეს: **ქ-ნმა მაია პაიჭაძემ, ბ-ნმა ლევანი ხოჭოლავამ, ბ-ნმა შოთა გიორგაძემ, ბ-ნმა ვახტანგ ხოჭოლავამ და ქ-ნმა ნინო სვანიძემ**, რომლებმაც წარმომიდგინეს მათ მიერ შედგენილი **ერთობლივი საქმიანობის [ამხანაგობის] ხელშეკრულება [ქ. თბილისი, 15.11.2022წ.]** და მოითხოვეს მასზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ქ-ნმა მაია პაიჭაძემ** [დაბ: 16.05.1975წ. რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, მცხეთის ქუჩა, N 8, ბინა 38, პ/ნ 01008000558], **ბ-ნმა ლევანი ხოჭოლავამ** [დაბ: 21.11.1991წ. მისი განცხადებით მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი, N 18, კორპუსი 1, ბინა 9, პ/ნ 01027038778, პასპორტი 10DD13858], **ბ-ნმა შოთა გიორგაძემ** [დაბ: 01.01.1978წ. რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, N 12, ბინა 121, პ/ნ 01024003403, მართვის მოწმობა TH1546642], **ბ-ნმა ვახტანგ ხოჭოლავამ** [დაბ: 21.02.1961წ. რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი სულხან ცინცაძის ქ. N 12 ბლოკი VIII ბ. 13-21, პ/ნ 01029000588, პასპორტი 18AD35563] და **ქ-ნმა ნინო სვანიძემ** [დაბ: 11.11.1989წ. რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, II მიკრო/რაიონი, N 27ა, ბინა 18, პ/ნ 46001016686] მომმართეს.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

მათ განაცხადეს, რომ მათთვის ცნობილია **კერძო აქტის** შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები და დამიდასტურეს, რომ იგი სრულად გამოხატავს მათ ნებასა და სურვილს.

მათი ნების დადგენის შემდეგ მე, მათ განვუმარტე, რომ ვამოწმებ მხოლოდ მათ მიერ შედგენილ **დოკუმენტზე** მათი ხელმოწერის ნამდვილობას და არა მასში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეს და ნამდვილობას. მე, მათ ასევე განვუმარტე, რომ საქართველოს კანონმდებლობით ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო და შესაბამისად, პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, რის შემდეგაც მათ ჩემი _ ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერეს ხელი **ერთობლივი საქმიანობის [ამხანაგობის] ხელშეკრულებაზე [ქ. თბილისი, 15.11.2022წ.], რომელიც თან ერთვის სანოტარო ფორმულარს.**

გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების [29.12.2011წ.] 31-ე მუხლის საფუძველზე 195.00 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 35.10 ლარი, ჯამში: 235.10 ლარი.

საქართველოს ნოტარიუსის,
მეგი მაღალდაძის შემცვლელი პირი
მარიამ გინტური



| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N221563886 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 15.11.2022 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | მეგი მაღალდაძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქუჩა N19 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2967042 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 93790221292422 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



ხელმოწერილია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი:



Firefox

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N221576953 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 17.11.2022 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | მანანა ჯიქია |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ.1/50 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 5 91 701 108 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 12644102395122 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

ორი ათას ოცდაორი წლის ჩვიდმეტ ნოემბერს მე, ნოტარიუსს, მანანა ჯიქიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ფოთი. ფარნავაზ მეფის ქ. №1-50-ში. მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა მარიამ ჭანტურიამ, დაბ. 15.03.2001 წელს, ბათუმში, პირადი ნომერი 42001038863, პირადობის მოწმობა 20IC56343, გაც: იუსტიციის სამინისტროს მიერ 30.03.2022, წელს, მცხ. ფოთი, ჩიტაიას ქ. 47, რომელმაც წარმოადგინა **2022 წლის 15 ნოემბრის ერთიბლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება** და გამოხატა მასზე თაყვანი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმების ნება.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა და ვადასტურებ, რომ მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია.

მან წაიკითხა **ხელშეკრულება** და განაცხადა, რომ ის ზუსტად გამოხატავს მის ნებას.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისგებლობა აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან კერძო აქტში ხელმოწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო.

წინამდებარე **ხელშეკრულება** შედგენილია ცამეტ გვერდზე ერთ ეგზემპლარად ქართული ენაზე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 39,0 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მოსაზურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, დღგ 7,02 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის, 5,0 (ხუთი) ლარი რეგისტრაციის საფასური 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა, სულ:51,02 ლარი.

ნოტარიუსი: მანანა ჯიქია

Firefox

Firefox Firefox Firefox

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

35759348249223

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N230041223**

რეგისტრაციის თარიღი

**14.01.2023 წ**

ნოტარიუსი: მანანა ჯიქია
მისამართი: ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ.1/50
ტელეფონი: 5 91 701 108

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

Firefox Firefox Firefox

საქართველო

სანოტარო აქტი

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის თოთხმეტ იანვარს მე, ნოტარიუსს მანანა ჯიქიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. №1/50, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **მარიამ ჭანტურიამ**, დაბ. 15.03.2001 წელს ბათუმში, პირადი №42001038863, პირადობის მოწმობა 20IC56343, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 30.03.2023 წელს, მცხ. ფოთი, ჩიტაიას ქ. 49, რომელმაც გამოხატა **ვახტანგ ხოჭოლოვას, პირადი ნომერი 01029000588,** სახელზე მინდობილობის შედგენის და სანოტარო წესით დამოწმების ნება.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის წამდვილობა და ვადასტურებ, რომ მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე დავადგინე **მარიამ ჭანტურიას** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე, ნამდვილად **მარიამ ჭანტურიამ**, პირადი №42001038863, მომმართა.

მე დავადგინე მინდობილობის შინაარსი და განვუმარტე უფლებამოსილების მიმნიჭებელ პირს მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, ავრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. შემდეგ წავუკითხე მას ეს მინდობილობა ხმამაღლა. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ ის სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი.

,,ორი ათას ოცდასამი წლის თოთხმეტ იანვარს **მარიამ ჭანტურია,** დაბ. 15.03.2001 წელს ბათუმში, პირადი №42001038863, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც ,,მინდობი პირი",

**ვახტანგ ხოჭოლოვას, პირადი ნომერი 01029000588, დაბ: 21.02.1961 წელს,** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც ,,მინდობილი პირი", მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოებში, ფიზიკური ან/და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებში, მერიაში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში, ნებისმიერ არქივში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ნებისმიერ სარეგისტრაციო სამსახურში, ნებისმიერ სსიპ-ში, რათა ხელი მოაწეროს ჩემს ნაცვლად ე.ს. ამხანაგობა ''ივერთუბანი -21''-ის (გადასახადის გადამხდელის საგადასახადო აღრიცხვის (რეგისტრაციის) ნომერი 202496600 საქმიანობასთან დაკავშირებით ყველა საჭირო დოკუმენტებს. ასევე, ვახტანგ ხოჭოლავას, პირადი N 01029000588, მიენიჭოს 2022 წლის 14 ნოემბრის ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მარიამ ჭანტურიასთვის, პირადი N 42001038863, მინიჭებული მთელი უფლებამოსილებების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ამხანაგობის საკუთრებად რეგისტრირებულ 01.81.21.104.005, 01.81.21.104.006, 01.81.21.104.007, 01.81.21.104.008, 01.81.21.104.009 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთებზე პროექტით გათვალისწინებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან. მათ შორის, ვახტანგ ხოჭოლავა, პირადი N 01029000588, უფლებამოსილია მარიამ ჭანტურიას, პირადი N 42001038863, სახელით მონაწილეობა მიიღოს ე.ს. ამხანაგობა ''ივერთუბანი-21''-ის კრებებზე, გადაწყვეტილებების მიღების, ხმის მიცემისა და კრების ოქმებზე ხელმოწერის უფლებით.

**ვახტანგ ხოჭოლავა, პირადი N 01029000588,** უფლებამოსილია მართოს და განკარგოს (გაყიდოს, გაცვალოს, გააჩუქოს, გააფორმოს საკუთარ ან/და სხვა პირის სახელზე) ე.ს. ამხანაგობა ''ივერთუბანი -21''-ში მარიამ ჭანტურიას, პირადი N 42001038863 მიერ ხელშეკრულების შესაბამისად მისაღები უძრავი ქონებები და სემდგომ დაარეგისტრიროს ისინი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

**ვახტანგ ხოჭოლავა, პირადი N 01029000588,** უფლებამოსილია ზემოთხსენებული საქმიანობის განხორციელების მიზნით შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა ან/და სხვა დოკუმენტი ზემოხსენებული პირებთან/სახელმწიფო ორგანოებთან, მარიამ ჭანტურიას, პირადი N 42001038863, ნაცვლად ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებულია წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან.

**მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ მის გაუქმებამდე.**

მინდობილ პირს უფლება აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები გადასცეს სხვა პირებს თავისი შეხედულებისამებრ.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს, მანანა ჯიქიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლიარები ეძლევა უფლებამოსილების მიმნიჭებელ პირს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 18,0 (თვრამეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების (საფუძველი: 29.12.2011 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილება N507) 31-ე მუხლისა, 5,0 (ხუთი) ლარი რეგისტრაციის საფასური თანახმად 39-ე მუხლისა, დღგ 3,24 ლარი თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 166 მუხლისა, სულ: 26,24 ლარი (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი).

მარიამ ჭანტურია

ნოტარიუსი: მანანა ჯიქია ----------

საქართველო ნოტარიუსი მანანა ჯიქია GEORGIA NOTARY MANANA JIKIA 420010015750

Firefox Firefox Firefox

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკატორი ნომერი

35759348249223

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N230041223

რეგისტრაციის თარიღი

**14.01.2023 წ**

ნოტარიუსი: მანანა ჯიქია
მისამართი: ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ.1/50
ტელეფონი: 5 91 701 108

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–ვებგვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

Firefox Firefox Firefox

საქართველო

საწოტარო აქტი

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის თოთხმეტ იანვარს მე, ნოტარიუსს მაწანა ჯიქიას, ჩემს საწოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. №1/50, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **მარიამ ჭანტურიამ**, დაბ. 15.03.2001 წელს ბათუმში, პირადი №42001038863, პირადობის მოწმობა 20IC56343, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 30.03.2023 წელს, მცხ. ფოთი, ჩიტაიას ქ. 49, რომელმაც გამოხატა **ვახტანგ ხოჭოლავას, პირადი ნომერი 01029000588,** სახელზე მინდობილობის შედგენის და საწოტარო წესით დამოწმების წება.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და წების გამოვლენის ნამდვილობა და ვადასტურებ, რომ მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე დავადგინე **მარიამ ჭანტურიას** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე, ნამდვილად **მარიამ ჭანტურიამ**, პირადი №42001038863, მომმართა.

მე დავადგინე მინდობილობის შინაარსი და განვუმარტე უფლებამოსილების მიმნიჭებელ პირს მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. შემდეგ წაუკითხე მას ეს მინდობილობა ხმამაღლა. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ ის სრულად გამოხატავს მის წებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი.

,,ორი ათას ოცდასამი წლის თოთხმეტ იანვარს **მარიამ ჭანტურია,** დაბ. 15.03.2001 წელს ბათუმში, პირადი №42001038863, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც ,,მიმნდობი პირი",

**ვახტანგ ხოჭოლავას, პირადი ნომერი 01029000588, დაბ: 21.02.1961 წელს,** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც ,,მინდობილი პირი", მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

